



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაგრატიონ-მუხრანელი ოთარ ვლადიმერის ძე

ბაგრატიონ-მუხრანელი ოთარ ვლადიმერის ძე (5. V. 1920, თბილისი, - 20. XI. 1988, იქვე), არქიტექტორი. საქართვე. დამს. არქიტექტორი (1967). დაღესტნის ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1977).

დაამთავრა საქართვე. ინდუსტრ. ინ-ტი (1943). 1946-64 მუშაობდა მშენებლობაზე და სხვადასხვა საპროექტო დაწესებულებაში. 1964-88 - ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების თბილ. ზონალურ სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1966-76 მთავარი არქიტექტორი).

ნამუშევრები: დასასვენებელი სახლი გუდაუთაში (1953), თბილისში - ორთაჭალაშვილის შენობა და ხიდი (1955; ორივე თ. მარგველაშვილთან ერთად). „საქქალაქმშენსახპროექტის“ სანარმოო კორპუსი (1969; ს. რევიშვილთან, ა. საბაშვილთან, ლ. ჩოფიკაშვილთან, გ. ხიზანიშვილთან ერთად) და რესტორანი „კასპი“ (1985, ვ. სიხარულიძესთან, გ. ხეჩინაშვილთან ერთად), სასტუმრო „კოლხეთი“ ქობულეთში (1983; მ. ეძგვერაძესთან, ა. ქურდიანთან ერთად, საქართვე. მინისტრთა საბჭოს სახელმწ. პრემია, 1985), მოსკოვში - საქართვე. საელჩოს სასტუმრო (1977; გ. ტონიასთან ერთად) და სხვ.

ს. კინწურაშვილი

მ. მაისურაძე
